ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 6 (2049) 9 თებერვალი, შაბათი, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოკრუგების, საქალაქო და სასოფლო რაიონების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კოლექტივების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამარჯვებულებად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს:

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

### მოკავშირე რესპუბლიკები

რუსეთის სფსრ
უკრაინის სსრ
ბელორუსიის სსრ
საქართველოს სსრ
აზერბაიჯანის სსრ
ლიტვის სსრ
ლატვიის სსრ
ყირგიზეთის სსრ
სომხეთის სსრ
ესტონეთის სსრ

### ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები

მათ შორის
საქართველოს სს რესპუბლიკაში: აფხაზეთის ასსრ;

ქალაქები: ბათუმი, ფოთი.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბიუროს მორიგ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება სკკპ მომავალი XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავად საქართველოს სსრ შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა და ძირითადად მოიწონა კაპიტალური მშენებლობის დარგში პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე მოისმინა ახმეტის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის, სკკპ წევრის ამხ. შ. ა. ფიცხელაურის ანგარიში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნა რა დადებითი ძვრები სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიის რაიკომს, სახალხო დეპუტატთა საბჭოს რაიაღმასკომს, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ხელმძღვანელობას მიაღწიონ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ზუსტ ურთიერთმოქმედებას დამნაშავეობის პროფილაქტიკის შემდგომი სრულყოფის, სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვა-შენახვის, უზრუნველყოფის, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვისათვის საქმიანობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც.

## რესპუბლიკა აღმშენებლობის მარშზე

### ამომრჩეველთა შეხვედრა ე. ა. შევარდნაძესთან

**7 თებერვალს,** ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" კულტურის სასახლეში გაიმართა № 336-ე საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან **ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძესთან.**

შეკრებილებმა აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — რუხის საშუალო სკოლის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა ვ. ნაჭყებიამ დამსწრეთ გააცნო ე. ა. შევარდნაძის ცხოვრების გზა და შრომითი საქმიანობა, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებას. მან ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებსაც რესპუბლიკის მშრომელები აღწევენ საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. ორგანიზატორის გამორჩეული ნიჭი, ყურადღება და გულისხმიერება ადამიანებისადმი, თქვა ორატორმა, ახასიათებს დეპუტატობის კანდიდატს — ენერგიულ და შორსმჭვრეტელ ხელმძღვანელს, გაბედულსა და პრინციპულს წამოჭრილ ამოცანათა გადაწყვეტაში. პარტიისა და ხალხის თავდადებულმა სამსახურმა მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვა რესპუბლიკაში და ქვეყანაში. ორატორმა მოუწოდა ოლქის ყველა ამომრჩეველს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

К ДНЮ ОТКРЫТОГО ПИСЬМА

# ГРАЖДАНИН ОБРАТИЛСЯ В МВД...

**Партия всегда рассматривала работу с письмами и устными обращениями трудящихся как одну из наиболее эффективных форм вовлечения широких масс в управление государством, наиболее надежный источник объективной информации о действительном положении дел во всех областях общественно - политической жизни, хозяйственного и культурного строительства, важнейший фактор дальнейшего развития социалистической демократии.**

**ГУРАМ ГВЕТАДЗЕ,**
**министр внутренних дел Грузинской ССР, генерал-лейтенант в/с**

ПИСЬМЕННЫЕ и устные обращения советских людей в партийные и советские органы свидетельствуют о том, что граждане нашей страны не хотят мириться с недостатками, нарушениями, активно борются с ними, верят в то, что каждое обращение будет рассмотрено по существу, а необходимые для решения поставленных вопросов меры осуществятся незамедлительно.

Руководствуясь решениями XXVI съезда КПСС и XXVI съезда Компартии Грузии, последующими постановлениями ЦК КПСС, указаниями Генерального секретаря ЦК КПСС, Председателя Президиума Верховного Совета СССР товарища К. У. Черненко, министерство внутренних дел Грузии стремится к созданию четкой системы работы с письмами, осуществляет меры, направленные на улучшение организации приема граждан, установление действенного контроля за рассмотрением предложений, заявлений и жалоб.

Большое значение придается в министерстве своевременному рассмотрению обращения граждан. В этой связи большую роль сыграло решение февральского (1984 г.) собрания партийно-хозяйственного актива Грузии, на котором был рассмотрен вопрос «О повышении ответственности партийных, советских, хозяйственных, общественных организаций республики за своевременные и качественные рассмотрения писем и заявлений трудящихся в свете указаний К. У. Черненко.

В целях повышения действенности этого контроля и увеличения объема контролируемых заявлений в министерстве разработана и функционирует система автоматизированного контроля с помощью ЭВМ, введение которой, с одной стороны, повысило качество контроля, принявшего оперативный характер, а с другой стороны — значительно увеличило число писем, берущихся на контроль. Если ранее устанавливался контроль только по заявлениям, поступившим в МВД из вышестоящих партийных и советских органов, редакций газет, журналов, радио, телевидения, а также по обращениям депутатов, то в настоящее время, помимо перечисленных категорий, на контроль берутся также заявления, подаваемые руководству во время личного приема, письма о неправомерных действиях сотрудников, о недостатках деятельности органов внутренних дел, о непринятии должных мер по ранее поданным сообщениям о совершенных преступлениях. Данные автоматизированной системы контроля за исполнением службами заявлений граждан еженедельно заслушиваются на оперативных совещаниях, что также способствует предотвращению нарушения контрольных сроков и повышению ответственности руководителей служб за качество и своевременность рассмотрения обращений граждан.

В результате улучшения организации, усиления контроля за рассмотрением заявлений и жалоб наметилась устойчивая тенденция увеличения количества положительно решенных по письмам вопросов, сокращения числа заявлений, рассмотренных с нарушением срока, а также повторных обращений.

Письменная жалоба — эта выношенная в сердце человека неудовлетворенность, поэтому регулярные приемы граждан, встречи с ними руководителей всех рангов непосредственно на предприятиях, в учреждениях, организациях, колхозах и совхозах, а также по месту жительства, широкое внедрение в практику Дней открытого письма в соответствии с постановлением ЦК КП Грузии и других форм работы с людьми будут способствовать всемерному удовлетворению законных интересов и запросов трудящихся.

С целью обеспечения наиболее благоприятных условий для возможности обращения заявителей в министерстве строго выдерживается график их приема руководством, начальники управлений и самостоятельных отделов принимают трудящихся по мере необходимости ежедневно. Одновременно руководители МВД осуществляют прием граждан непосредственно по месту их работы, жительства, а также осужденных по месту отбытия ими наказания. Ежеквартально составляются графики таких выездных приемов руководителями министерства. Так, во время одного из выездных приемов в городе Рустави нам стало известно о низком качестве в этом городе хлебопродуктов. Проверка УБХСС подтвердила данный факт. Директор хлебокомбината получил предостережение. Информированы были также министерство пищевой промышленности республики и Руставский ГК КП Грузии.

Ежедневно в приемной комнате МВД осуществляется прием посетителей одним из наиболее опытных референтов секретариата, который ведет справочно-информационную работу по интересующим заявителей вопросам и, в зависимости от характера обращений, направляет их либо к руководству министерства, либо в отраслевые службы, где им предоставляется возможность доверительно изложить свою просьбу. В министерстве систематически анализируется и обобщается работа с жалобами и заявлениями граждан, что позволяет определять наиболее актуальные вопросы, подлежащие регулированию и принимать практические меры по устранению недостатков и упущений, о которых информиру-

(Окончание на 2-й стр.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის აქტივის შესახვედრად

# გულახდილი საუბარი

თელავი.

გაიმართა რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი, „1984 წელს დამნაშავეობის წინააღმდეგ გაწეული ბრძოლის შედეგები, მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში რაიონის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ამოცანების შესახებ“.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ღრმად გაანალიზეს რაიონში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, დანაშაულობათა აღკვეთისათვის გაწეული მუშაობის შედეგები, პირუთვნელად იმსჯელეს ნაკლოვანებებზე, გადაუჭრელ პრობლემებსა და საკითხებზე, მომავლის ამოცანებზე.

კერძოდ, აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში გააქტიურდა ბრძოლა სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის, ხულიგნობის, ლოთობის, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად რაიონში გაუმჯობესდა ოპერატიული ვითარება, წინა წელთან შედარებით იგრძნობა დანაშაულის შემცირების ტენდენცია.

გამოვლენილია სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და მტაცებლობის არაერთი ფაქტი.

რაიონში ჯერ კიდევ დიდია სახელმწიფო ქონების, წვრილმანი დატაცების შემთხვევები.

გასული წლის მანძილზე ერთგვარად გაუმჯობესდა ჩადენილ დანაშაულთა გახსნის მდგომარეობა, მაგრამ არის მოქალაქეთა ქონების ქურდობის, ავტოსაგზაო შემთხვევათა ფაქტები, გაუხსნელი საქმეებიც. რაიონში მომხდარ დანაშაულობათა შორის გარკვეული წილი მოდის ავტოავარიებზე. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ზოგი ავტოავარია აღურიცხავი რჩება დარწმუნდებით, რომ მდგომარეობა სერიოზულია. ამ დანაშაულთა პროფილაქტიკისა და აღკვეთისათვის არასაკმაოდ იბრძვის შინაგან საქმეთა განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექცია. ამ სამსახურის მუშაკები არ იღებენ გადამჭრელ ზომებს მძღოლთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის,

აქტივის კრებამ მოსთხოვა ავტოინსპექციის ხელმძღვანელობას სათანადო დასკვნები გააკეთოს შექმნილი მდგომარეობიდან, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ხელმძღვანელობასთან ერთად შეიმუშაოს არსებული დარღვევების სალიკვიდაციო ღონისძიებანი, სისტემატიურად იბრძოლოს მათი განუხრელი განხორციელებისათვის.

კრებაზე აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა საგამომძიებლო ჯგუფის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. შარშან აქ საგამომძიებლო ვადის დარღვევით დამთავრდა 7 საქმე, სასამართლოდან დამატებითი გამოძიებისათვის უკან დაბრუნდა 8 საქმე.

აქტივის კრების მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის საქმიანობა. მართალია, 1984 წელს წინა წელთან შედარებით მყიდველთა მოტყუების, სპეკულაციის უფრო მეტი ფაქტებია გამოვლენილი, მაგრამ მდგომარეობა მაინც არადამაკმაყოფილებელი, კვლავ იგრძნობა პასიურობა ისეთ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიცაა სახელმწიფო ქონების დატაცება, სპეკულაცია, მყიდველთა მოტყუება, მექრთამეობა.

სახელმწიფო ქონების დატაცების აღკვეთის საქმეში დიდი მოვალეობა აკისრია რაიონის არასაუწყებო დაცვის სამსახურს. მართალია, რაიონში ამ მიმართულებით შეინიშნება ერთგვარი ძვრები, მაგრამ მიღწეული საკმარისი არ არის. არასაუწყებო დაცვის სისტემაში კიდევ მუშაობენ პირები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ამიტომ მეტი მუშაობა მართებთ ამ სამსახურის ხელმძღვანელებს — მათ ახლო ურთიერთობა უნდა დაამყარონ რაიონის სახალხო მეურნეობის ობიექტების მესვეურებთან, გაუწიონ ანგარიში მათ აზრს არასაუწყებო დაცვის მუშაკთა საქმიანობის შესახებ.

გარკვეული მუშაობა წარმოებს უმუშევართა გამოვლინებისა და საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმისათვის. მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ საკმაოდ არიან პირები, რომლებიც გაურბიან შრომას და მშობლების ხარჯზე ცხოვრობენ, ან არაშრომითი შემოსავლით ირჩენენ თავს. ასეთთა მიმართ არასაკმაო მუშაობას ეწევიან უბნის ინსპექტორები, რომლებიც მოვალენი არიან მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები მათს შრომითს კოლექტივებში გასაგზავნად.

აქტივის კრებაზე გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები, მათი პარტიული ორგანიზაციები, კიდევ უფრო გააქტიურებენ ბრძოლას ყოველგვარი დანაშაულის აღკვეთააცილებისათვის, მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

# ღია პარტიულ კრებაზე

ჭიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება. კრებაზე გაანალიზებული იქნა შინაგან საქმეთა ჭიათურის საქალაქო განყოფილების თანამშრომლების მიერ 1984 წელს სამართალდარღვევების წინააღმდეგ გაწეული მუშაობის შედეგები. აღინიშნა, რომ განყოფილებამ გარკვეული მუშაობა გასწია ამ მიმართებით; შემცირდა საერთო დანაშაულობათა რაოდენობა, გაიზარდა გახსნის პროცენტული მაჩვენებელი, იკლო ქუჩაში მომხდარ დანაშაულობათა რიცხვმაც, მკვეთრად გაუმჯობესდა მუშაობა სოცსაკუთრებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლმა სამსახურმა, იკლო ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობამ. როგორც კრებაზე აღინიშნა, 1984 წელს ჭიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში მიღწეული წარმატებები შედეგია თანამშრომელთა შორის პარტიულ-პროფილაქტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქ. კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ხოფერია, პარტიის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ლ. გამყრელიძე, სახალხო დეპუტატთა ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. გურული, ქალაქ ჭიათურის პროკურორი ვ. გელაშვილი და საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი გ. შონია.

# ГРАЖДАНИН ОБРАТИЛСЯ В МВД...

(Окончание. Начало на 1-й стр.)

ют трудящихся в своих обращениях. При помощи писем трудящихся Управлением БХСС были выявлены факты нарушения правил советской торговли. Разоблачены лица, занимавшиеся хищениями социалистической собственности.

С учетом предложений общественности республики за последние годы приняты законы, значительно усиливающие ответственность за тунеядство, кражи, спекуляцию, азартные игры и другие нарушения.

При проведении комплексных проверок горрайорганов внутренних дел рассматриваются и анализируются вопросы работы с письмами граждан, в нужных случаях непосредственно на местах оказывается практическая помощь, даются практические рекомендации по совершенствованию этой деятельности. Порой жалобы граждан разрешаются на местах неправильно, заявителям необоснованно отказывают в удовлетворении законных требований, имеют место факты бюрократизма и волокиты, невыполнения данных ранее обещаний. За такие проступки ряд сотрудников был уволен из органов внутренних дел.

Зачастую невнимательное, бездушное отношение к заявлениям и письмам граждан влечет за собой и такое грубое нарушение соцзаконности, как укрытие преступлений от государственного учета. В отношении непосредственных нарушителей принимаются самые строгие меры наказания, вплоть до увольнения из органов внутренних дел. Наказаниям подвергаются и их непосредственные начальники. В минувшем году по указанной причине понесли наказание начальники Ленинского (г. Кутаиси), Амбролаурского, Мцхетского, Тетрицкаройского, Аспиндзского РОВД и другие.

За последние годы, как уже отмечалось, в МВД республики осуществлен ряд мер по совершенствованию работы с письмами, заявлениями и жалобами граждан, активизирована борьба с бюрократическим и формальным подходом к их разрешению, усилен контроль за своевременностью и качеством рассмотрения писем. Однако число их сокращается медленно. Анализ писем, жалоб и заявлений, поступивших в МВД ГССР, показывает, что они охватывают практически все стороны служебной деятельности министерства.

Значительное место в поступающей почте занимают письма по вопросам, относящимся к компетенции службы уголовного розыска (заявления о непринятии мер по раскрытию уголовных преступлений, о фактах угроз и бытовых конфликтов и т. п.).

Наибольшее количество заявлений, получаемых МВД, касается кадровых вопросов. Много писем получено по вопросам следствия, в которых заявители жалуются на необъективное ведение и заволокичивание следственных дел. Особую озабоченность вызывает увеличение количества заявлений, касающихся межсоседских неурядиц. Здесь налицо халатное отношение к своим обязанностям участковых инспекторов. И в том, что еще не изжито такое зло, как тунеядство, тоже не в малой степени вина участковых инспекторов.

Недавно созданные политорганы в системе министерства внутренних дел уделяют большое внимание работе с письмами, жалобами и заявлениями трудящихся. Работу в этом направлении проводит и газета «Боевой страж». Вместе с тем, в деятельности МВД Грузинской ССР по рассмотрению жалоб и заявлений граждан и реагированию на них продолжают иметь место существенные недостатки и упущения, и эта работа пока не в полной мере отвечает предъявляемым требованиям. Все еще допускаются на местах факты необъективности при рассмотрении поднимаемых заявителями вопросов, длительного затягивания принятия окончательных решений по делам и вопросам, затрагивающим их законные интересы, случаи волокиты при рассмотрении уголовных дел, незаинтересованности сотрудников в том, чтобы убедить людей в правильности, обоснованности и законности принятых решений, поверхностного изучения выдвигаемых в письмах доводов. Все это побуждает граждан обращаться с повторными заявлениями в вышестоящие инстанции. Нередки случаи, когда даже при осуществлении полного и качественного объема работы по заявлению ответ заявителю дается в форме предельно краткой формальной отписки, что, естественно, вызывает у граждан сомнение и неверие в окончательное и объективное решение его проблемы.

Недостаточно применяется метод личных контактов проверяющих и их руководителей с заявителями с тем, чтобы в пределах возможного информировать о проводимой работе и ориентировочных сроках ее завершения, либо с тем, чтобы убедительно разъяснить заявителю необоснованность его претензий. Каждому руководителю следует помнить, что в работе с письмами, предложениями, жалобами трудящихся нет мелочей. Почти каждое обращение, как правило, затрагивает важный вопрос. Поэтому и велика ответственность лиц, работающих с письмами и ведущих личный прием граждан. Нельзя не учитывать, что в сознании людей аппарат местных органов нередко отождествляется с государством в целом. Отсюда, ясно, что поверхностный подход к рассмотрению писем, формальное отношение к чьей-либо проосьбе бросают тень не на того или иного конкретного руководителя или организацию, которые не разобрались в существе дела, а на авторитет органов власти вообще. Необходимо поэтому повсеместно усилить спрос с должностных лиц за формальное или формально-бюрократическое отношение к рассмотрению писем и заявлений граждан. Виновные в волоките, как это требует Центральный Комитет КПСС, должны нести за это персональную ответственность.

Давая самокритическую оценку состояния работы с обращениями трудящихся, МВД республики принимает необходимые меры по устранению вышеизложенных недостатков. В основу этой работы положены требования директивных органов о повышении авторитета и воспитательного значения принимаемых правоохранительными органами решений в процессе разбора заявлений граждан. ЦК КП республики требует рассматривать работу с заявителями как одно из важнейших направлений деятельности, шире практиковать метод убеждения и разъяснения, руководствуясь принципами объективности, гуманизма, уважительного отношения к гражданам. Предлагается рассмотреть ряд конкретных фактов неоднократных жалоб в партийные органы по вопросам деятельности органов внутренних дел, принять по ним конкретные решения и разъяснить заявителям их обоснованность.

Нельзя не сказать и о том, что многие жалобы и заявления, поступающие в различные инстанции, являются следствием низкой правовой культуры граждан. Партийным, советским, профсоюзным, административным органам, первичным партийным организациям необходимо усилить правовую пропаганду. Надо повсеместно организовать квалифицированное разъяснение конституционных прав и обязанностей граждан, основных положений советского законодательства. Следует лучше использовать в этом деле возможности печати, радио, телевидения, общества «Знание».

Созданная в министерстве внутренних дел республики обстановка повседневного и взыскательного внимания к состоянию работы с письмами граждан, принципиальный спрос со всех сотрудников за качество этой работы направлены к тому, чтобы каждый труженик, обращающийся к нам, находил здесь удовлетворение всех своих законных требований и обоснованных просьб.

ВСТРЕЧА В ТРУДОВОМ КОЛЛЕКТИВЕ

# ОПРАВДАЛ ДОВЕРИЕ

Недавно инструктор отдела политико - воспитательной работы УИТУ МВД Грузинской ССР лейтенант в/с Шота Эдуардович Битадзе сдавал трудный экзамен: он отчитывался перед коллективом Тбилисской обувной фабрики «Нарикала», перед теми, кто дал ему путевку в жизнь.

Семнадцатилетним парнишкой после окончания средней школы Ш. Битадзе начал работать на обувной фабрике. Затем была служба в рядах Советской Армии. Демобилизовавшись, он вновь возвращается на родное предприятие. Здесь его принимают в ряды КПСС, здесь он получает направление в партшколу при ЦК КП Грузии. На предприятии Шота Битадзе избирают членом бюро партийной организации фабрики, секретарем парторганизации цеха.

Далее была учеба на юридическом факультете Тбилисского государственного университета. А в 1984 году по направлению Кировского РК КП Грузии молодого юриста направляют на работу в органы внутренних дел.

...Теплой, деловой и интересной была встреча молодого сотрудника МВД ГССР с рабочими обувной фабрики. Он рассказал им о характере своей работы, поделился своими планами на будущее, задачами отдела в нынешнем году.

За честную, добросовестную, безупречную работу и активное участие в общественной жизни фабрики Шота Битадзе награжден Почетной грамотой и ценным подарком.

И. ДЖЕЙРАНАШВИЛИ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლეგიის გაერთიანებული სხდომა

**მიმდინარე წლის 2 თებერვალს ქ. ბათუმში გაიმართა რესპუბლიკის განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებული კოლეგიის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მილიციის გენერალ-მაიორი გ. კვანტალიანი, განათლების მინისტრის მოადგილე მ. დარჩია, საქ. სსრ ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ჯ. მარგველიძე, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი თ. კოლონია, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, მილიციის გენერალ-მაიორი ჯ. მიქელაძე, აჭარის განათლების მინისტრი ვ. წულუკიძე, განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები.**

**სხდომაზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის სკოლების დირექტორები და შინაგან საქმეთა განყოფილებების არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსები.**

**შეკრებილთა მიერ განხილული იქნა საკითხი: ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი საქმიანობის შესახებ.**

**მოხსენებით გამოვიდნენ: საქ. სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. დარჩია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მილიციის გენერალ-მაიორი გ. კვანტალიანი, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი თ. კოლონია, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, მილიციის გენერალ-მაიორი ჯ. მიქელაძე, აჭარის განათლების მინისტრი ვ. წულუკიძე და სხვები.**

**გამომსვლელებმა** აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოები შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის დისციპლინის განმტკიცების, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისა და კანონებისადმი პატივისცემის, დისციპლინისა და კანონიერების ნებისმიერი დამრღვევისადმი შეურიგებლობის საკითხებს. ორგანიზაციებთან ერთად სერიოზულ ღონისძიებებს ატარებენ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის.

არასრულწლოვანთა მხრიდან სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით გაწეული მუშაობის გააქტიურებამ, ამ საქმეში რესპუბლიკის განათლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი, სისტემური საქმიანობის შედეგად. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირა მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა აღნიშნული სრულებითაც არ იძლევა თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების უფლებას, რადგანაც ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელია, ხოლო მდგომარეობა — საკმაოდ სერიოზული.

უკანასკნელ წლებში გატარდა პრაქტიკული ღონისძიებები სკოლებიდან განთესილი, შრომითა და სწავლით დაუსაქმებელი მოზარდების გამოვლენისა და სწავლასა და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის. კვლავაც სერიოზული ყურადღება ეთმობა იმ მოზარდებს, რომლებიც არაკეთილსაიმედო ოჯახებში იზრდებიან.

სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში სკოლის, ოჯახის, ფართო საზოგადოებრიობის ერთობლივი მუშაობის გააქტიურებას, მოზარდი თაობის აღზრდაზე მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას; — ჩვენს რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს და სათანადო გამოცდილებაც დაგროვდა.

რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში ჯერ კიდევ სუსტია სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებს შორის საქმიანი კონტაქტები, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი შეინიშნება ძნელადაღსაზრდელ მოსწავლეთა გამოვლინებისა და მათთან ინდივიდუალური მუშაობის საქმეში.

მომხდარ დანაშაულთა უმეტესი ნაწილი მუშა-ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეებზე მოდის. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ დანაშაულში მონაწილე აღნიშნული სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობა ჩაბმული არ არის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია ისეთ მოზარდთა რიცხვი, რომლებიც თავისუფალ დროს მოკლებული არიან პედაგოგიურ ზედამხედველობას. ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსწორებისათვის პასუხისმგებლობა სკოლასა და არასრულწლოვანთა ინსპექციებთან ერთად საბინაო-საექსპლუატაციო უბნების პედაგოგ-ორგანიზატორებსაც ეკისრებათ.



პედაგოგიური კოლექტივები, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები ჯერ კიდევ სათანადო დაინტერესებით არ ეკიდებიან ბავშვებში მოძრაობის უსაფრთხოების წესების საფუძვლიან შესწავლას. რის შედეგადაც რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ და დასახიჩრებულ მოზარდთა რიცხვი.

შინაგან საქმეთა ორგანოების, უპირველეს ყოვლისა არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების მუშაკები ხშირ შემთხვევაში სკოლაში მხოლოდ მაშინ მიდიან, როცა მოსწავლე დანაშაულს ჩაიდენს. დღემდე ვერ ხერხდება სკოლებსა და შს ორგანოების მუშაკთა შორის საქმიანი კონტაქტების დამყარება.

აღსანიშნავია, ისიც რომ ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში დროულად არ ხდება დანაშაულისაკენ მიდრეკილების მქონე მოსწავლეების აღრიცხვაზე აყვანა და მათთან სათანადო ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარება; ასევე ჯეროვანი ღონისძიებები არ ხორციელდება სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებთან შვილების აღზრდაზე უარყოფითი გავლენის მქონე მშობლების, მათი შემცვლელი პირების გამოვლენისა და აღრიცხვისათვის.

საქართველოს სსრ განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებულმა კოლეგიამ **გადაწყვიტა:**

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ძირფესვიანად გააუმჯობესონ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, სკოლებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა მოსწავლე-ახალგაზრდობის ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის.

გააქტიურონ სკოლების, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების საქმიანობა მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორი და შინაარსიანი ორგანიზაციის საქმეში.

მეტი ყურადღება დაუთმონ არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას. გააქტიურონ იმ მოზარდებთან მუშაობა; რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში, ანდა განთავისუფლებული არიან შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულებიდან, სპეციალური სკოლა-ინტერნატებიდან, ვისაც გადავადებული აქვს სასჯელი და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშა-ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა ჩაბმას საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში.

უფრო ეფექტური და შემოქმედებითი გახადონ სახალხო განათლების განყოფილებებთან არსებული დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიურ მოვლენათა და დანაშაულის პროფილაქტიკის საკოორდინაციო კომისიების, სკოლებში შექმნილი პროფილაქტიკის საბჭოების საქმიანობა.

**შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა:**

განამტკიცონ საქმიანი კონტაქტები სკოლებთან. მეტი ყურადღება დაუთმონ მოზარდთა შორის ინდივიდუალურ-პროფილაქტიკურ მუშაობას, აამაღლონ არასრულწლოვანთა ინსპექციებში აღრიცხვაზე მყოფ მოზარდებთან მუშაობის ეფექტურობა.

რადიკალურად გარდაქმნან მუშაობა დანაშაულისაკენ მიდრეკილების მქონე მოზარდთა ჯგუფების დროულ გამოვლინებისა და მხილების მიზნით.

სკოლების პედკოლექტივებთან ერთად გამოავლინონ ის მშობლები, რომლებიც თავიანთი ქცევით უარყოფით გავლენას ახდენენ შვილების აღზრდაზე.

ქმედითი დახმარება გაუწიონ სკოლების დირექტორებს სამართლებრივი აღზრდის კაბინეტების შექმნასა და მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების საქმეში.

**თ. ხაბულიანი**
ჩვენი სპეც. კორ.
**ტ. ტარიელაშვილის ფოტო.**

---

**К 40-ЛЕТИЮ ПОБЕДЫ**

# ВНОВЬ В СТРОЮ — ВЕТЕРАНЫ

На этой фотографии — три ветерана Великой Отечественной войны, люди, через судьбы которых прошла война. Неимоверно тяжкие испытания, радость побед и горечь поражений выпали на их долю.

Воевали они на разных фронтах, но каждый из них в общее дело победы внес и свою лепту.

Виктор Ишков, Ефим Теплицкий и Аветик Осипов наравне со всеми делили тяготы войны, шли ее трудными дорогами, освобождая оккупированные немецко - фашистскими захватчиками города и села.

Виктор Ишков освобождал Варшаву, защищал столицу нашей Родины — Москву, Аветик Осипов — города Минск, Смоленск, Вязьму, Можайск, освобождал Киев, войну закончил в Чехословакии.

Ефима Теплицкого товарищи называют исторической личностью. Возможно потому, что воевал он в рядах легендарной 18-й армии, которой командовал К. Леселидзе, и свою первую награду — медаль «За боевые заслуги» в боях за Новороссийск он получил из рук Л. И. Брежнева, который в то время был начальником политотдела 18-й армии.

Ныне полковники внутренней службы В. Ишков, Е. Теплицкий, подполковник милиции А. Осипов работают в системе МВД. Разными дорогами шли ветераны по жизненному пути, но одинаково щедро, без остатка отдавали они любимому делу себя, свои силы, тепло своих сердец.



---

# დაუჯერებელი ამბავი

ამ რამდენიმე ხნის წინ, მთელი ორი თვის განმავლობაში ძალზე გახმაურებული, ეს ტრაგიკული „ამბავი" ახლა ორიოდ ფრაზითაც იოლად გადმოიცემა. ამდენი ოჯახის თავს დატრიალებული ტრაგედიის ასეთი კუთხიდან დანახვასაც აქვს თავისი შემზარავი ცინიკურობა, დიახ, ცინიკურობა, რომლითაც ასე ოსტატურად არის შეფერადებული ამ ჯერ ისევ ყმაწვილური ასაკის დამნაშავეთა არაერთი ნამოქმედარი...

ყველაფერი კი აი, როგორ დაიწყო:

გასული წლის 30 სექტემბერს არასრულწლოვანებმა: გენადი შვირკოვმა, კონსტანტინე კოსტაიანმა, ედიკ ავაქიანმა და არტურ ვართანოვმა თბილისის 83-ე საშუალო სკოლის სამხედრო მომზადების კაბინეტიდან გაიტაცეს ცეცხლსროლელი იარაღი და საბრძოლო ვაზნები, შემდეგ კი შეასხეს ბენზინი და გადაწვეს სკოლის შენობა. 4 ოქტომბერს არასრულწლოვანები გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთს ესტუმრნენ, საიდანაც გაიტაცეს ავტომანქანა „ვაზ-2103". 21 ოქტომბერს საქარხნო რაიონიდან გაიტაცეს მოქალაქე ცალუღელაშვილის კუთვნილი ავტომანქანა „ვაზ-2101", 24 ოქტომბერს იხულიგნეს დედაქალაქის 26 კომისრის რაიონის ტერიტორიაზე, 31 ოქტომბერს, სამართალში მიცემულ ოლეგ მაზაიუკოვთან ერთად, საქარხნო რაიონიდან გაიტაცეს ავტომანქანა „მ-21", 2 ნოემბერს, მისივე მონაწილეობით ახლა 26 კომისრის რაიონიდან გაიტაცეს ავტომანქანა „გაზ-968"; ასევე, გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისში გაქურდეს მოქალაქე ა. ცაგარეიშვილი.

მაგრამ ყველა ეს დანაშაული უცოდველობად მოსჩანს არასრულწლოვანების გ. შვირკოვის, კ. კოსტაიანის, ე. ავაქიანისა და ა. ვართანოვის მიერ 22 ოქტომბერს ჩადენილი ცინიკური ბოროტმოქმედების ფონზე...

22 ოქტომბერს, დაახლოებით ღამის 2 საათზე, გარდაბნის რაიონის თელეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ფილიალის ტერიტორიაზე, არასრულწლოვანმა დამნაშავეებმა საკუთარ მანქანაში („გაზ- 21" სახელმწიფო ნომერი მ-1225 გა) ცეცხლმსროლელი იარაღის მუქარით ჩასვეს ამავე საწარმოს დარაჯი ვ. სარუხანოვი და წაიყვანეს კუმისის ტბის მიმართულებით, სადაც იძულებით გაათხრევინეს ორმო, შემდეგ გ. შვირკოვმა მოკლა იგი. მოკლული იმავე წამს ჩამარხეს ორმოში ხოლო მისი მანქანა კი გაიტაცეს.

30 ოქტომბერს შეიქმნა შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ოპერატიული ჯგუფი, მილიციის პოლკოვნიკის გ. შონიას ხელმძღვანელობით. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ გამოცდილი მუშაკები მილიციის პოდპოლკოვნიკი ვ. საგანელიძე. მილიციის მაიორი ჯ. ბაწაშვილი, უფროსი ლეიტენანტი გ. ხაბაშვილი, მაიორი ა. ოგანეზოვი, რომელთა ოპერატიულმა და საზრიანმა მოქმედებამ დამნაშავეთა ყველა წევრი უმოკლეს დროში საამკარაოზე გამოიყვანეს.

ეს ყველაფერი ჩაიდინა დამნაშავეთა ჯგუფმა, რომელთაგან უფროსი 18 წლისაა, ხოლო ყველაზე უმცროსი 13-ისა. ამგვარი ფაქტისათვის მარტო კომენტარის გაკეთება კი არა, თვალის გასწორებაც ძნელია. რატომ გადაწყვიტეს ასე ადვილად არასრულწლოვანმა ყმაწვილებმა, რომ მათი მორიგი დანაშაულის კვალის დაფარვისათვის აუცილებელი იყო ამხელა და თანაც ასეთი უაზრო სადისტური მსხვერპლი?!

დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა მონაწილე (გარდა ა. ვართანოვისა და ე. ავაქიანისა) იმყოფებოდა პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე შინაგან საქმეთა საქარხნო რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში; ხოლო შვირკოვი სასჯელგადავადებული იყო. დამნაშავეთა ჯგუფის ყველა წევრი შემჩნეული იყო წვრილმან ქურდობასა და ხულიგნობაში.

მიუხედავად ამ თავისებური „სიგნალებისა", შეიძლება ითქვას, რომ ზემოთჩამოთვლილ მოზარდებთან რაიონის არასრულწლოვანთა ინსპექციას სერიოზული და საფუძვლიანი ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობაც კი არ ჩაუტარებია. მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის ფორმალურად შექმნით იფარგლებოდა ინსპექციის უბნის ინსპექტორის თ. სირაძის მუშაობა სასჯელგადავადებულ და სამართალდარღვევებში არაერთხელ შემჩნეულ გ. შვირკოვთან. არაკომპეტენტურობა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება იკითხება ამავე ინსპექციის უბნის ინსპექტორის ა. ალექსიშვილის ზედაპირულ მუშაობაშიც. მას მწვავე აუცილებლობისა და დედის — ტ. კოსტაიანის მხარდაჭერისა და თხოვნის მიუხედავად, არ დაუყენებია ცხინვალის სპეციალურ პროფტექსასწავლებელში არასრულწლოვან კ. კოსტაიანის გაგზავნის საკითხი.

რაც შინაგან საქმეთა საქარხნო რაიგანყოფილების მუშაკთა მიერ არასრულწლოვანთა გამოსწორების მიზნით წარმოებულ ინდივიდუალურ-პროფილაქტიკურ და ოპერატიულ-სამძებლო მუშაობაში არსებულ სხვა სერიოზულ დარღვევებზე მეტყველებს.

ჩვენ ერთხელ კიდევ შევახსენებთ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, რომ არასრულწლოვან მოზარდებთან მეტი ყურადღების გამოჩენა მართებთ, მით უფრო რომ დღევანდელი ახალგაზრდა ჩვენი ხვალინდელი დღეა, ჩვენი მომავლის ძლიერებისა და წარმატების საწინდარია.

**ნ. ქევაშვილი.**

ცეცხლზე ძლიერი ადამიანები

# მეხანძრე — საპატიო პროფესიაა

კვირა დღე იყო, მაისის მზიანი დილა. ნავთლუღის რკინიგზის დამხარისხებელ სადგურში ძლიერი გრგვინვა გაისმა და იქაურობა ცეცხლის ალში გაეხვია. ბენზინით სავსე შვიდი სამოცტონიანი ცისტერნა იწვოდა. მოძრაობა შეჩერდა. დასახლებას საფრთხე ემუქრებოდა...

საბურთალოს რაიონის მეოთხე სახანძრო ნაწილის უფროსს ზურაბ თალაკვაძეს შინ დაურეკეს: „ხანძარი № 3". ეს ნიშნავს ყველაზე უძლიერეს ხანძარს, რომლის ჩასაქრობად, როგორც წესი, თბილისის თორმეტივე ნაწილის სახანძრო დაცვის ყველა დანაყოფი მონაწილეობს.

ორ საათს ერკინებოდნენ გამძვინვარებულ სტიქიას. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ ქარი ამოვარდა და თანაც ახლოს წყალი არ იყო, ორი კილომეტრიდან მოუხდათ სახანძრო აუზებიდან წყლის ამოტუმბვა. მიზანი ერთი იყო: არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ თუნდაც ერთი ცისტერნის აფეთქება. არადა, ცეცხლის ალი 50 მეტრ სიმაღლეზე აჭრილიყო და შავ ბოლში გახვეულ მეხანძრეებს გამომწვევად დაჰყურებდა ზემოდან. ლიანდაგიდან გადავარდნილი ორი ცისტერნიანი ვაგონი 300-400 გრადუსიან ტემპერატურაზე ისე გაბერილიყო, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო აფეთქება. თითოეულ წამს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მცირეოდენ უზუსტობასაც შეეძლო დიდი მარცხი მოჰყოლოდა.

ზურაბ თალაკვაძის ნაწილის მეხანძრეებმა მთელი თბილისის სახანძრო ნაწილებთან ერთად უმაგალითო გმირობა და სიმამაცე გამოიჩინეს, ჩააქრეს ცისტერნებზე მოდებული ალი, ამასთან განადგურებისაგან იხსნეს საკმაოდ დიდი დასახლება. ამ ურთულეს ოპერაციაში მონაწილეობისათვის ზ. თალაკვაძე დააჯილდოვეს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის".

...ეს იყო 13 წლის წინათ. ორჯონიკიძის რაიონის მეოთხე სახანძრო ნაწილის მაშინდელი უფროსის ზურაბ დუნდუას კაბინეტში 18 წლის ახალგაზრდა შევიდა და მორიდებით განაცხადა, თქვენთან მუშაობა მინდა!

— სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, — იგონებს შინაგანი სამსახურის მაიორი მამია ბერაძე — ახალგაზრდები იშვიათად მოდიან სახანძრო ნაწილში სამუშაოდ. ჩვენი საქმე ძალზე რთულია, კარგ ფიზიკურ მომზადებასა და სიმამაცეს მოითხოვს. ყველას როდი შეუძლია ცეცხლთან ჭიდილი. მაგრამ ზურაბთან საუბარმა დამარწმუნა, რომ საკმაოდ უშიშარი და საკუთარ შესაძლებლობებში გარკვეული ახალგაზრდა იდგა ჩემს წინ, რომელიც დასახული მიზნის მისაღწევად უკან არასოდეს დაიხევდა. შემდეგ იგი ჩვენს თვალწინ გაიზარდა, როგორც კარგი ვაჟკაცი და ჩინებული მეხანძრე. ყოველდღიურად იმაღლებდა ცოდნას, იძენდა გამოცდილებას. ითვისებდა ურთულესი პროფესიის ყოველ წვრილმანს.

კარგად ახსოვს მ. ბერაძეს ზურაბის პირველი მონაწილეობა ხანძრის ქრობაში ვაშლაჯვრის დასახლებაში. ეს პირველი პასუხსაგები გამოცდა იყო და ყველა დარწმუნდა, რომ ზურაბის სახით საიმედო ცვლა ეზრდებოდათ.

ერთი წლის შემდეგ ზურაბმა გამოცდა ჩააბარა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარკოვის სახანძრო-ტექნიკურ სასწავლებელში, სამ წელიწადში კი ოფიცრის ჩინი მიიღო. ამჟამად იგი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის უმაღლესი სახანძრო-ტექნიკურ სკოლას ამთავრებს და უნარიანად ხელმძღვანელობს იმ სახანძრო ნაწილს, სადაც პირველი ნაბიჯები დაუდგამს... დაულოცეს.

—მთელი ამ ხნის მანძილზე არასოდეს დამვიწყებია ჩემი პირველი დღეები სახანძრო ნაწილში, — ამბობს ზურაბი, — სურვილი ერთია, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორ შეგხვდებიან ახალ კოლექტივში. მხარში ამომიდგნენ მეხანძრეები მ. გოგიჩაიშვილი, გ. ქავთარაძე და სხვები.

ახლაც ახსოვს ზურაბს ის სიხარული, პირველად რომ ჩაიცვა მეხანძრის ფორმა, პირველი ხანძრის ქრობაში მონაწილეობა. როგორც იტყვიან, ბოლის სუნს ერთხელ თუ შეიგრძნობ, პირველ სიძნელეს გადალახავ და სტიქიას დასძლევ, ეს ისეთ ძალას გმატებს, ამ საქმეს თავს ვერ დაანებებო, — ღიმილით ამბობს იგი.

მას შემდეგ ბევრჯერ უზეიმია სტიქიაზე გამარჯვება, არაერთი ადამიანის სიცოცხლე უხსნია.

დღეს ზურაბ თალაკვაძე ერთ-ერთი წარჩინებული მეხანძრეა. კვლავაც წარმატებები ნუ მოჰკლებოდეს მას სამსახურებრივსა თუ პირად ცხოვრებაში.

ლ. მაისურაძე.

# სტუმრად მილიციის მუშაკებთან

ამ დღეებში ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა შეხვედრა მოუწყვეს მწერალს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რ. მიშველაძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა და მწერლის შემოქმედებით გზაზე ისაუბრა განყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორმა ს. ჰეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ რ. მიშველაძის მოთხრობები, ნოველები გამოირჩევიან თავისი აქტიურობით, გამბედაობითა და პრინციპულობით, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე პოზიტიურ ცვლილებათა ღრმა წვდომით.

მწერლისათვის არც მილიციის თემაა უცხო. მას რამოდენიმე ნაწარმოები აქვს ამ თემაზე შექმნილი. მის ნოველებსა და მოთხრობებში აღწერილია მილიციის მუშაკთა მეტად საინტერესო და სახიფათო საქმიანობა, ზოგიერთ ნაკლოვანებათა მხილებით.

მწერალმა რ. მიშველაძემ თავის გამოსვლაში ილაპარაკა შემოქმედებით გეგმებზე. მწერალი დამსწრეთ ესაუბრა იაპონიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე, პასუხი გასცა მილიციის მუშაკთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე.

თ. მაღლაკელიძე.

ЛИЦО «СВОБОДНОГО МИРА»

# ИСКАЛЕЧЕННЫЕ ДУШИ

**Однажды вечером 72-летняя Марта Кеннинам услышала робкий стук в дверь. С трудом передвигаясь, женщина отодвинула запор и сняла цепочку. На пороге стояли трое ребятишек лет 8—10 с кружками для пожертвований.**

**— Мы от здешнего прихода, — объяснили они. Пока старушка искала мелочь, все трое, оттолкнув ее, ринулись в прихожую. Опрокидывая стулья, они выворачивали ящики комодов, обшарили шкаф и забрали все, что в их глазах представляло ценность, не забыв прихватить все наличные деньги и древние старушечьи драгоценности. Как оказалось впоследствии, это были члены банды малолетних преступников (возраст действительно ошеломляющий — от 7 до 11 лет), которая в последнее время буквально терроризировала престарелых жителей Глазго.**

Здесь, в Шотландии, на первый взгляд царит атмосфера спокойствия и мира. Нет той суеты, разноплеменья, которые так отличают Лондон. Однако, это, повторяю, на первый взгляд. А дальше — в глаза бросаются стальные решетки на магазинных витринах, прикованный к стене кандальной цепью телевизор в номере гостиницы, разноцветные буклеты с броскими заголовками — «Берегись карманников!», «Что надо сделать, чтобы у вас не угнали машину» и т. д., полные бесчисленных советов и предостережений, которые преследуют вас повсюду, куда бы вы не зашли — в кафе, кинотеатр, церковь.

Здесь каждый сможет рассказать вам случай ограбления, если не на собственном опыте, то на примере близких родственников или знакомых. И это не преувеличение: из более чем трех миллионов преступлений, которые ежегодно совершаются в Великобритании, на долю Шотландии приходится свыше 440 тысяч. Цифра довольно внушительная: в среднем одно преступление на 12 шотландцев. Так, по крайней мере, значится в официальной полицейской статистике.

Как заявил недавно министр внутренних дел и окружающей среды Шотландии Майкл Энкрам, «мы очень обеспокоены ростом числа преступлений, зарегистрированных полицией в прошлом году».

При этом остается добавить, что, несмотря на усилия полиции, доля раскрытых дел постоянно снижается и сейчас достигла более чем скромной цифры в 30 процентов.

А. ДУБРОВСКИЙ.
(АПН).

სპორტი ● სპორტი ● სპორტი

# სატურნირო ორბიტა

**ახალი 1985 წლის პირველივე შეჯიბრებებში წარმატებით აიღეს სტარტი ჩვენი რესპუბლიკის დინამოელებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა სპორტსმენთა გამარჯვებები. გაგაცნობთ ზოგიერთ შედეგს.**

**მოსკოვში** სპორტსაზოგადოება „დინამოს" ღია ჩემპიონატზე ჩოგბურთში წარმატებით გამოვიდა მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი ლეილა მესხი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

• • •

**ერევანში** დინამოელთა საკავშირო პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან ოქროს მედლები მოიპოვეს ა. გოგრიჭიანმა და ს. აბაშვილმა, მეორე ადგილზე გავიდა ა. მაისურაძე, მესამეზე რ. ლომიძე და გ. ფურცელაძე.

• • •

**ახლახან,** ნიჟნი ტაგილი სამ დღეს მასპინძლობდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს უძლიერეს მფრინავ მოთხილამურეებს. იუნიორთა შორის 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მეორე ადგილზე გავიდა ბაკურიანელი ოსტატობის კანდიდატი დ. დიაკონაშვილი.

• • •

**ბაკურიანში** გამართულ საქართველოს პირად ჩემპიონატზე სამთო-სათხილამურო სპორტის ორ სახეობაში — სპეციალურ და გიგანტურ სლალომში წარმატებით იასპარეზეს დინამოელმა ვაჟებმა. სპეციალურ სლალომში გაიმარჯვა ი. გავამ, ა. პაპიკიანი კი მესამე ადგილზე გავიდა. გიგანტურ სლალომში გაიმარჯვა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა გ. ორჯონიკიძემ, მეორე და მესამე შედეგიც დინამოელებმა ი. გავამ და გ. ხაზარაძემ აჩვენეს.

# РАДОСТЬ ВСТРЕЧ С «МАИСИ»

Со всех сторон нашей необъятной Родины съезжаются в Тбилиси гости. Вот и сегодня вокально - инструментальный ансамбль «Маиси» Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД Грузинской ССР радушно приветствуют комсомольцы, приехавшие к нам по путевке «Спутника».

Берег Тбилисского моря. В одном из корпусов пансионата дает очередной концерт ансамбль.

Зазвучали аккорды, полилась мелодия. Молодые девчата от десяти до четырнадцати лет сами играют и поют. Это уже четвертое поколение ансамбля, который в скором времени будет праздновать свой десятилетний юбилей. Несколько лет ансамблем руководит композитор Александр Константинович Раквиашвили. За эти годы ансамбль неузнаваемо преобразился, обновился его репертуар. Музыку и стихи для ансамбля пишет сам руководитель.

Много теплых слов можно сказать об этом ансамбле, но самое главное, пожалуй, то, что он своим искусством доставляет наслаждение всем тем, кто его слушает, перед кем он выступает. А выступает и разъезжает ансамбль немало.

Только за последние полгода «Маиси» дал огромное число концертов и каждый концерт был по-своему неповторим, публика всюду горячо аплодировала юным музыкантам. Такой успех, думается, заключается в отсутствии стереотипности.

Разъезжая по городам Советского Союза, «Маиси» дал более сорока концертов, на которых побывало свыше 30.000 зрителей. «У нас концертов бывает больше, чем репетиций. И помимо больших концертных программ, девочки наши выступают на шефских вечерах, в органах и подразделениях внутренних дел республики, а в летнее время — в пионерских лагерях», — говорит руководитель. И везде, как дети, так и взрослые тепло встречают юных исполнителей.

Недавно «Маиси» участвовал в творческой олимпиаде в честь 40-летия Великой Победы. Здесь исполнялись песни фронтовые... И, конечно же, Тбилисская новогодняя программа не обошлась без «Маиси».

У ансамбля большие планы на будущее. Он живет насыщенной жизнью. Казалось бы, дети могут устать, — ведь такие напряженные учебой и работой будни должны неминуемо отразиться на них, а получается наоборот.

Думается, весь секрет в том, что каждая поездка, каждый концерт дает новые впечатления, частицу своей неповторимости, теплоты и радушия. Кроме того, юные участники ансамбля черпают много интересного, нового из истории страны, боевой и трудовой славы нашей отчизны. Все это укрепляет в них высокие морально-эстетические идеалы.

Сейчас ансамбль «Маиси» готовится к гастролям по Дальнему Востоку. Хочется пожелать им благополучного выступления и новых незабываемых впечатлений.

Э. САНОЯН.



НА СНИМКЕ: во время репетиции — на сцене самая юная певица Ира Чантурия.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 08450